საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-157

20/02/2020

ქ. თბილისი

შპს „REFCO“-ზე ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ

2020 წლის 29 იანვარს სამინისტროს მომართა შპს „REFCO“-მ და ითხოვა 13 ტონა და 600 კილოგრამი ოზონდამშლელი ნივთიერების - ქლორდიფტორმეთანის (CHF2Cl, HCFC-22) იმპორტის ნებართვის მიღება.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს „ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის და წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ივნისის №266 დადგენილების მე-5 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ივნისის №266 დადგენილების მე-6 მუხლით განსაზღვრული საიმპორტო კვოტის განაწილების წესის მიხედვით შპს „REFCO“-ზე შესაძლოა გაიცეს წლიური იმპორტის ნებართვა მის მიერ მოთხოვნილ რაოდენობაზე (13 ტონა და 600 კილოგრამი).

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 7^2 პუნქტისა და „ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის და წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ივნისის №266 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა შპს „REFCO“-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 245592906) 13 ტონა და 600 კილოგრამი ოზონის შრის დამშლელი ნივთიერების - ქლორდიფტორმეთანის (CHF2Cl, HCFC-22) იმპორტისთვის;
2. ნებართვა ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრამდე;
3. შპს „REFCO“-მ უზრუნველყოს „ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის და წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ივნისის №266 დადგენილებით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „REFCO“-ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „REFCO“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი